გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

04 აპრილი 2024

N 2-415

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

,,ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში, გარდაბანი-კრწანისი-რუსთავის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მე-17 კმ-ზე შპს „თეთრი ქუდის“ კუთვნილ სოკოს საწარმოში კომპოსტის (ნარჩენების აღდგენა) წარმოებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 29 დეკემბრის №2-1235 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 26 მარტის N21/3124 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში, გარდაბანი-კრწანისი-რუსთავის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მე-17 კმ-ზე შპს „თეთრი ქუდის“ კუთვნილ სოკოს საწარმოში კომპოსტის (ნარჩენების აღდგენა) წარმოებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 29 დეკემბრის №2-1235 ბრძანება.
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს: სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და შპს „თეთრი ქუდს“.
3. ამ ბრძანების გამოცემიდან 2 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.
4. ეს ბრძანება ძალაშია შპს „თეთრი ქუდის“მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი